კონცერტი თანამემამულეთა დასახმარებლად

მოგეხსენებათ, სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი ქართველი ცხოვრობს და ზოგი, საკუთარი პროფესიით წარმატებით საქმიანობს, ზოგიც, მატერიალური სიდუხჭირის გამო გაემგზავრა სამშობლოდან და სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ოჯახს ხელი რომ გაუმართოს. სხვადასხვა ქვეყანასა თუ ქალაქში დიასპორებად გაერთიანებულ ქართველობას, განურჩევლად სტატუსისა და საქმიანობისა, ერთ მუშტად შეკრავს ხოლმე სამშობლოდან მოსული ცნობა გასაჭირის შესახებ და ასე მოხდა ივნისშიც, როცა თბილისში დამანგრეველ წყალდიდობას მსხვერპლიც მოჰყვა და ათობით ოჯახიც დაზარალდა.

არაჩვეულებრივი საღამო იყო, დადებითი და ემოციური

მარეხ ჭონიშვილი

სასიხარულო ის გახლავთ, რომ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ქართველები არა მარტო „ცხელ კვალზე" ეხმარებიან თანამემამულეებს, არამედ საკმაო დროის შემდეგაც არ ასვენებთ თანადგომის გამოხატვის ნადილიც. ამის უახლესი მაგალითის შესახებ გერმანიიდან გვაცნობეს.

კონცერტში არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი გამორჩეული მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ

25 სექტემბერს, ქალაქ ფრანკფურტში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი 13 ივნისს თბილისში წყალდიდობით დაზარალებულთა დასახმარებლად. უპირველესად აღსანიშნავია, რომ კონცერტში არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი გამორჩეული მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. არც ორგანიზატორებს და არც ვირტუოზ ხელოვანებს თავი არ დაუზოგავთ, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო და რაც შეიძლება მეტი მსმენელი მოეზიდათ.

ორგანიზატორმა და ამავე დროს, კონცერტის იდეის ავტორმა, პაატა ბოლოთაშვილმა საღამოს პირველ ნაწილში, პრეზენტაციის სახით, სტუმრებს საქართველოსა და თბილისში 13 ივნისს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ უამბო. შემდგომ კი სცენა მუსიკოსებმა დაიკავეს, მათ შორის იყვნენ: გერმანიაში მოღვაწე ოპერის მომღერალი, დარმშტატის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ხვიჩა ხოზრევანიძე, მისი კოლეგა, ჰესენის სახელმწიფო თეატრის (ვისბადენში) სოლისტი ეკა ქურიძე, ნიდერლანდელი პიანისტი, პროფესორი, ჰესენის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ფრედ ოლდენბურგი, მომღერალი მარიკა მურმანიშვილი, ვირტუოზი გიტარისტი, ფრანკფურტის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის დოცენტი გვანეტა ბეთანელი, ფლეიტისტი ლიკა მეგრელიშვილი, გიტარისტი დარია ჩერნიში დარმშტატის სახელმწიფო თეატრიდან, ამავე თეატრის სოლისტები — იური ლავრენტიევი და დარია სამარსკაია და პიანისტი ნატალი შტილერი.

კონცერტის შემდეგ სტუმრებმა ქართული კერძები და ქართული ღვინო დააგემოვნეს, რომლის საფასურიც, ასევე შემოწირულობის სახით, დაზარალებულებს გაეგზავნებათ.

კონცერტზე დასწრება უფასო იყო. საღამოს ორგანიზატორების თქმით, შეგროვილ თანხას ჟურნალისტების თანდასწრებით გადასცემენ დაზარალებულებს, რათა ყველაფერი, რაც შეიძლება ტრანსპარანტული იყოს. მათ ასევე, ინფორმაცია მიაწოდეს გერმანულ პრესასა და ფრანკფურტის ტელევიზიას, ქართველთა სათვისტომოს მიუნხენში, საქართველოს დიასპორის სამინისტროსა და საქართველოს საკონსულოს ფრანკფურტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ადამიანმა შემოწირულობის თანხა სპეციალურ ანგარიშზე, კონცერტამდეც ჩარიცხა.

მარიამ შტილერი, *ქართველი ემიგრანტი:*

— ყველას გვინდა ვუთხრათ ულრმესი მადლობა, იმ ხალხის სახელით, ვისაც შემოწირული თანხა გადაეცემა, ასეთი ენთუზიაზმითა და ფურორით ჩატარებული ღონისძიებისთვის, იმ ერთიანობისა და ერთსულოვნებისთვის, რაც ამ საღამოს იგრძნობოდა. ულრმესი მადლობა ჩვენს არაჩვეულებრივ, ვირტუოზ ხელოვანებს, რომელთაც